ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი გუგავას

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" **88**-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად შედგენილ ანგარიშს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ფრაქცია ,,ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის" წევრების: გოჩა გურგუჩიანის, მირანდა საღინაძის და ალექსი მახარობლიძის და ფრაქცია ,,ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის" **01.11.2018-31. 10. 2019** წწ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

თან ერთვის: ანგარიში 3 ფურცლად

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,

ფრაქცია,, ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის"

თავმჯდომარე გოჩა გურგუჩიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,

ფრაქცია,, ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის"

თავმჯდომარის მოადგილე მირანდა საღინაძე

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ფრაქცია,, ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის" წევრი ალექსი მახარობლიძე

01.11.2019 წ

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია

,, ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“

წევრების და ფრაქცია ,,ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“ 01.11.2018-31.10. 2019 წწ პერიოდში გაწეული მუშაობის

ანგარიში

2018 წლის 01 ნოემბრიდან 2019 წლის 31 ოქტომბრამდე პერიოდში ფრაქციის წევრებმა და ფრაქციამ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულებით (რეგლამენტით) გათვალისწინებული უფლებების, მოთხოვნების, ვალდებულებების და დადგენილი წესების შესაბამისად მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 11 მორიგ და 16 რიგგარეშე სხდომაზე მიღებული 24 დადგენილებისა და 79 განკარგულების განხილვაში. ფრაქციის წევრები წევრის სტატუსით მონაწილეობას ღებულობენ საკრებულოში შექმნილ ყველა კომისიაში:

საკრებულოს წევრი, ფრაქციის თავმჯდომარე გოჩა გურგუჩიანი:

- ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია;

-ქონების მართვისა და ბუნებრივ რესურსების მართვის საკითხთა კომისია;

საკრებულოს წევრი, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე მირანდა საღინაძე:

-საფინანსო-საბიუჯეტო კომისია;

-სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის

კომისია.

საკრებულოს და ფრაქციის წევრი ალექსი მახარობლიძე:

-სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია.

-სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის

კომისია.

ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნილ სხვადასხვა საკითხებზე გამართული იქნა ფრაქციის 12 სხდომა.

ფრაქციის წევრების და ფრაქციის მიერ სისტემატიურად ხდება საკრებულოს სხდომებზე განცხადებების და შენიშვნების გაკეთება, საკითხის დასმა მოსახლეობასთან გასვლითი შეხვედრებისას წამოჭრილ პრობლემებზე. მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე მათთვის პრობლემურ საკითხებზე კონსულტაცია/დახმარების გაწევა, რიგ შემთხვევაში საკითხის დაყენება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სხვა შესაბამისი სტრუქტურებისადმი.

საკრებულოს ეფექტური მუშაობისათვის ძალიან მნიშვნელოვანია საკრებულოს მაკონტროლებელი ფუნქციის და საკრებულოს მუშაობაში გამჭვირვალეობის და მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა, რაც განსაზღვრულია კანონმდებლობით. თუმცა, აღნიშნული პროცესები მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ხარვეზებით, რაზედაც სისტემატიურად და პრინციპულად ხდება საკითხის დაყენება საკრებულოს თითქმის ყველა სხდომაზე, რათა მიღწეული იქნეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ვადების დაცვით საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების პროექტების მომზადება და განხილვა, განსახილველი საკითხების პროექტებზე კანონმდებლობის შესაბამისად შესაბამისი კომისიების დასკვნების მომზადება, რაც ფაქტიურად არ ხორციელდება, მცირედი გამონაკლისის გარდა. საკრებულოს სხდომებზე რამდენჯერმე იქნა დასმული საკითხი, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 106[1] მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში გათვალისწინებული იქნას მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშების წარდგენის წესი. რადგანაც აღსანიშნავია რომ, საკრებულოს მუშაობის 2 წლის განმავლობაში აღმასრულებელი ორგანოსა და საკრებულოს კომისიების მიერ წარმოდგენილი იქნა მხოლოდ ერთი საწარმოს და რამდენიმე ა(ა)იპ-ის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია.

მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვასთან მიმართებით ფრაქცია და ფრაქციის წევრები ატარებენ პრინციპულ კურსს, რათა მუნიციპალიტეტის ქონება განიკარგოს მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით და არა კერძო ინტერესების შესაბამისად და მიკერძოებულად.

ფრაქციამ არ დაუჭირა მხარი ცაგერის მუციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცებას და არ მიუღია კენჭისყრაში მონაწილობა ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შესახებ, რადგანაც მიიჩნევს რომ ბიუჯეტის დაგეგმვაში არის მნიშვნელოვანი ხარვეზები, რაც იწვევს იმას, რომ წლის განმავლობაში მიღებული ჭარბი შემოსავლები, ასევე სარეზერვო ფონდისა და კეთილმოწყობის ღონისძიებისთვის საჭირო დაგეგმილი ხარჯების დაუსაბუთებელი შემცირებით მობილიზებული თანხები ნაწილდება ისეთი ბიუროკრატიული ხარჯების და სუბსიდირების გაზრდისათვის, რომელთაც

დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრული ოდენობის გაზრდა წესით არ უნა ხდებოდეს. მაშინ როცა, მოსახლეობაში უამრავი მოუგვარებელი და გადაუჭრელი, როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე სოციალური პრობლემაა.

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან მიმართებაში ხშირად ხდება შენიშვნების წარდგენა პრიორიტეტების სწორად, თანმიმდევრულად განსაზღვრასა, ხარისხსა და დროულად, განსაზღვრულ ვადებში დამთავრებასთან დაკავშირებით.

ფრაქციის წევრები და ფრაქცია აგრძელებს მუშაობას იმ მიმართებით, რათა მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული მოსახლეობის ინტერესი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვის, შესრულების, იფრასტრუქტურული პროექტების შერჩევისა და განხორციელების პროცესში. მიღებული სამართლებრივი აქტები ემსახურებოდეს მათ სოციალურ, საყოფაცხოვრებო და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,

ფრაქცია,, ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“

თავმჯდომარე გოჩა გურგუჩიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,

ფრაქცია,, ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“

თავმჯდომარის მოადგილე მირანდა საღინაძე

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ფრაქცია,, ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“ წევრი ალექსი მახარობლიძე

01.11.2019 წ